# ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულისა და მე-2 სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინის) შესყიდვის მიზნით ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიის სხდომის

## ოქმი №1

ქ. ბოლნისი 23 სექტემბერი 2011 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ საბიაშვილი – სატენდერო კომისიის თავმჯდომარე – ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

ზორის ფრუიძე – სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

დავით მუმლაძე – სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;

სოლომონ ჩარკვიანი – სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ლაშა ბექანიშვილი – სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი;

ნიკოლოზ გობეჯიშვილი - სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის სივრცით ტერიტორიული მოწყობისა და ურბანული დაგეგმარების განყოფილების უფროსი.

სხდომას არ ესწრებოდა:

გიორგი ხომასურიძე – სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

დღის წესრიგი:

**ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულისა და მე-2 სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინის) შესყიდვის მიზნით** საკონკურსო განცხადების განხილვისა და დამტკიცების შესახებ.

განიხილეს:

საკონკურსო კომისიის წევრმა ნიკოლოზ გობეჯიშვილმა საკონკურსო კომისიას წარუდგინა საკონკურსო განცხადების პროექტი და თანდართული დოკუმენტაცია.

საკონკურსო კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი საკონკურსო განცხადების პროექტი და თანდართული დოკუმენტაცია, რის შემდეგაც აღნიშნეს, რომ ყოველივე შეესაბამება "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის

დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომრის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მოთხოვნებს.
რის შემდეგაც:

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულისა და მე-2 სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინის) შესყიდვის მიზნით მომზადებული საკონკურსო დოკუმენტაცია.

კომისიის თავმჯდომარე: /ნ. საბიაშვილი/

კომისიის წევრი: /ბ. ფრუიძე/

კომისიის წევრი: /დ. მუმლაძე/

კომისიის წევრი: /ს. ჩარკვიანი/

კომისიის წევრი: /ლ. ბეჟანიშვილი/

კომისიის წევრი: /ნ. გობეჯიშვილი/

# ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ბოლნისი 17 ოქტომბერი 2011 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ **ბოლნისის** მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 26 სექტემბერს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში (#158) **ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულისა და მე-2 სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინის) შესყიდვის** შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

კომისიის თავმჯდომარე: /ნ. საბიაშვილი/

კომისიის წევრი: /თ. ბურნაძე/

კომისიის წევრი: /ზ. ფრუიძე/

კომისიის წევრი: /დ. მუმლაძე/

კომისიის წევრი: /ს. ჩარკვიანი/

კომისიის წევრი: /ლ. ბეჟანიშვილი/

კომისიის წევრი: /ნ. გობეჯიშვილი/

აპარატის წევრი: /გ. მათეშვილი/

აპარატის წევრი: /თ. სვანიძე/

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულისა და მე-2 სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინის) შესყიდვის მიზნით ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიის სხდომის

# ოქმი №2

ქ. ბოლნისი 17 ოქტომბერი 2011 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ საბიაშვილი – სატენდერო კომისიის თავმჯდომარე – ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

თენგიზ ბურნაძე – სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

ბორის ფრუიძე – სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

დავით მუმლაძე – სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;

სოლომონ ჩარკვიანი – სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ლაშა ბექანიშვილი – სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი;

ნიკოლოზ გოზეჯიშვილი - სატენდერო კომისიის წევრი – ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის სივრცით ტერიტორიული მოწყობისა და ურბანული დაგეგმარების განყოფილების უფროსი.

დღის წესრიგი:

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულისა და მე-2 სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინის) შესყიდვის მიზნით ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში 2011 წლის 26 სექტემბერს გამოცხადებულ კონკურსში (#158) მონაწილეთა მიერ წარმოდგენილი შეთავაზებების განხილვა და საკონკურსო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

განიხილეს:

საკონკურსო კომისიის წევრმა სოლომონ ჩარკვიანმა საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ დადგენილ ვადაში 2011 წლის 12 ოქტომბრის 17 საათამდე ბოლნისის მუნიციპალიტეტში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ორმა პრეტენდენტმა:

შპს "ზაუტეხი" - საკონკურსო წინადადების ღირებულება 19000 ლარი;
შპს "ვნვ და კომპანია" - საკონკურსო წინადადების ღირებულება 18320 ლარი;

საკონკურსო კომისიამ განიხილა პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებები.

განხილვის პროცესში საკონკურსო კომისიის წევრმა დავით მუმლაძემ აღნიშნა, რომ შპს "ვნვ და კომპანია"-ს მიერ წარმოდგენილი წინადადებაში არის რამოდენიმე დეტალი რომელიც არ პასუხობს შემსყიდველის მოთხოვნებს, კერძოდ: მუნიციპალიტეტის მიერ ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომელთა რაოდენობა განსაზღვრულია 11 თანამშრომლით, ხოლო შპს "ვნვ და კომპანია"-ს წარმოდგენილ წინადადებაში ადმინისტრაციული სამსახურის ფართი გადაწყობილია 10 თანამშრომელზე. ასევე მოთხოვნილი არქივის ფართი მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული იყო 15-20 კვ.მ-ით, ხოლო შპს "ვნვ და კომპანია"-ს წარმოდგენილ წინადადებაში არქივისათვის გამოყოფილია 23,5კვ.მ.

საკონკურსო კომისიის წევრმა ნიკოლოზ გობეჯიშვილმა აღნიშნა, რომ შპს "ვნვ და კომპანია"-ს შესაბამისი ავეჯის ინდივიდუალური დიზაინის ესკიზებში წარმოდგენილი აქვს მხოლოდ მაგიდებისა და სკამების ესკიზები, ასევე მისი აზრით მე-3 სართულის დერეფნის დიზაინი არ მოდის შესაბამისობაში არსებულ შემოსასვლელსა და კიბის დიზაინთან.

განხილვის შემდეგ კომისიის წევრებმა მოახდინეს პრეტენდენტების საკონკურსო წინადადებების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა - 10 ქულიანი სისტემით. შეფასების შედეგად პრეტენდენტებმა მიიღეს შემდეგი ქულები:

| | შპს "ზაუტეხი" | შპს "ვნვ და კომპანია" |
|---|---|---|
| ნოდარ საბიაშვილი | 7,8 ქულა | 5,6 ქულა |
| თენგიზ ბურნაძე | 8,0 ქულა | 6,6 ქულა |
| დავით ფრუიძე | 8,8 ქულა | 6,6 ქულა |
| დავით მუმლაძე | 8,6 ქულა | 4,8 ქულა |
| სოლომონ ჩარკვიანი | 7,8 ქულა | 4,8 ქულა |
| ლაშა ბეჟანიშვილი | 8,8 ქულა | 7,4 ქულა |
| ნიკოლოზ გობეჯიშვილი | 8,2 ქულა | 4,4 ქულა |

რის შედეგადაც

კომისიამ დაადგინა:

1. საკონკურსო კომისიის წევრების მიერ განხორციელებული შეფასებების შესაბამისად **ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულისა და მე-2 სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინის)** შესყიდვის მიზნით ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში 2011 წლის 26 სექტემბერს გამოცხადებულ კონკურსში (#158) გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს "ზაუტეხი"
2. 2011 წლის 21 ოქტომბრის 18 საათამდე განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმება შპს "ზაუტეხი"-სთან.

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს, 2011 წლის 19 ოქტომბრამდე მოახდინოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების დაგზავნა პრეტენდენტი ორგანიზაციებისათვის.

კომისიის თავმჯდომარე: /ნ. საბიაშვილი/

კომისიის წევრი: /თ. ბურნაძე/

კომისიის წევრი: /ზ. ფრუიძე/

კომისიის წევრი: /დ. მუმლაძე/

კომისიის წევრი: /ს. ჩარკვიანი/

კომისიის წევრი: /ლ. ბეჟანიშვილი/

კომისიის წევრი: /ნ. გობეჯიშვილი/

...ნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-**3** სართულისა და მე-**2** სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინის) შესყიდვის მიზნით საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის ნოდარ საბიაშვილის შეფასება

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს "ზაუტეხი" | | შპს "ვნვ და კომპანია" | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| ...ტექტურული კონცეფცია და ესკიზი | **0,8** | 8 | 6,4 | 5 | 4 |
| ...კურსო წინადადების ფასი | **0,2** | 7 | 1,4 | 8 | 1,6 |
| | საერთო ჯამი | | **7,8** | | **5,6** |

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ საბიაშვილი

17,10,2011წ

ნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულისა და მე-2 სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინის) შესყიდვის მიზნით საკონკურსო კომისიის წევრის თენგიზ ბურნაძის შეფასება

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს "ბაუტეხი" | | შპს "ვნვ და კომპანია" | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| ტექტურული კონცეფცია და ესკიზი | **0,8** | 8 | 6,4 | 6 | 4,8 |
| კურსო წინადადების ფასი | **0,2** | 8 | 1,6 | 9 | 1,8 |
| | საერთო ჯამი | | **8,0** | | **6,6** |

საკონკურსო კომისიის წევრი: თენგიზ ბურნაძე

17,10,2011წ

ნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულისა და მე-2 სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინის) შესყიდვის მიზნით საკონკურსო კომისიის წევრის ბორის ფრუიძის შეფასება

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს "ბაუტეხი" | | შპს "ვნვ და კომპანია" | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| ტექტურული კონცეფცია და ესკიზი | **0,8** | 9 | 7,2 | 6 | 4,8 |
| ნკურსო წინადადების ფასი | **0,2** | 8 | 1,6 | 9 | 1,8 |
| საერთო ჯამი | | | **8,8** | | **6,6** |

საკონკურსო კომისიის წევრი:

ბორის ფრუიძე
17,10,2011წ

ნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-**3** სართულისა და მე-**2** სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინის) შესყიდვის მიზნით საკონკურსო კომისიის წევრის დავით მუმლაძის შეფასება

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს "ბაუტეხი" | | შპს "ვნვ და კომპანია" | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| ტექტურული კონცეფცია და ესკიზი | **0,8** | 9 | 7,2 | 4 | 3,2 |
| კურსო წინადადების ფასი | **0,2** | 7 | 1,4 | 8 | 1,6 |
| | საერთო ჯამი | **8,6** | | **4,8** | |

საკონკურსო კომისიის წევრი:

დავით მუმლაძე
17,10,2011წ

ნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-**3** სართულისა და მე-**2** სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინის) შესყიდვის მიზნით საკონკურსო კომისიის წევრის სოლომონ ჩარკვიანის

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს "ზაუტეხი" | | შპს "ვნვ და კომპანია" | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| ...ტექტურული კონცეფცია და ესკიზი | **0,8** | 8 | 6,4 | 4 | 3,2 |
| ...კურსო წინადადების ფასი | **0,2** | 7 | 1,4 | 8 | 1,6 |
| | საერთო ჯამი | | **7,8** | | **4,8** |

საკონკურსო კომისიის წევრი:

სოლომონ ჩარკვიანი
17,10,2011წ

ნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-**3** სართულისა და მე-**2** სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინის) შესყიდვის მიზნით საკონკურსო კომისიის წევრის ლაშა ბეჟანიშვილის

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს "ბაუტეხი" | | შპს "ვნვ და კომპანია" | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| ტექტურული კონცეფცია და ესკიზი | **0,8** | 9 | 7,2 | 7 | 5,6 |
| ნკურსო წინადადების ფასი | **0,2** | 8 | 1,6 | 9 | 1,8 |
| | საერთო ჯამი | | **8,8** | | **7,4** |

საკონკურსო კომისიის წევრი:

ლაშა ბეჟანიშვილი
**17,10,2011წ**

ნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-**3** სართულისა და მე-**2** სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინის) შესყიდვის მიზნით საკონკურსო კომისიის წევრის ნიკოლოზ გობეჯიშვილი

| | შეფასების კოეფიციენტი | შპს "ბაუტეხი" | | შპს "ვნვ და კომპანია" | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ქულა | ჯამი | ქულა | ჯამი |
| ...ზეტქტურული კონცეფცია და ესკიზი | **0,8** | 8 | 6,4 | 3 | 2,4 |
| ...ნკურსო წინადადების ფასი | **0,2** | 9 | 1,8 | 10 | 2 |
| | საერთო ჯამი | | **8,2** | | **4,4** |

საკონკურსო კომისიის წევრი:

ნიკოლოზ გობეჯიშვილი
**17,10,2011წ**

# საქართველო

## ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

1100 ქ. ბოლნისი სულხან საბა ორბელიანის ქ.№106

ფაქსი 8(258) 2-25-00

№ 05-11491

„17“ 10 “2011წ

შპს "ვნვ და კომპანია"-ს დირექტორს

ბატონ ნიკოლოზ კანდელაკს

ბატონო ნიკოლოზ,

გაცნობებთ, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიამ განიხილა 2011 წლის 26 სექტემბერს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულისა და მე-2 სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინის) შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოცხადებულ კონკურსში (#158) შპს "ვნვ და კომპანია"-ს მიერ 2011 წლის 12 ოქტომბერს ბოლნისის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

კონკურსში მონაწილეობას იღებდა ორი პრეტენდენტი (შპს "ზაუტეხი" და შპს "ვნვ და კომპანია").

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, (საოქმო გადაწყვეტილება #2) ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულისა და მე-2 სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინის) შესყიდვაზე კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს "ზაუტეხი"

პატივისცემით,

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე ნოდარ საბიაშვილი

# საქართველო

## ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

1100 ქ. ბოლნისი სულხან საბა ორბელიანის ქ.№106

ფაქსი 8(258) 2-25-00

№ 05-11492

„17" 10 "2011წ

შპს "ბაუტეხი"-ს დირექტორს

ბატონ გიორგი ბერაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკონკურსო კომისიამ განიხილა 2011 წლის 26 სექტემბერს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულისა და მე-2 სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინის) შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოცხადებულ კონკურსში (#158) შპს "ბაუტეხი"-ს მიერ 2011 წლის 12 ოქტომბერს ბოლნისის მუნიციპალიტეტში წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

კონკურსში მონაწილეობას იღებდა ორი პრეტენდენტი (შპს "ბაუტეხი" და შპს "ვნვ და კომპანია").

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით, (საოქმო გადაწყვეტილება #2) ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულისა და მე-2 სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინის) შესყიდვაზე კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა :

შპს "ბაუტეხი"

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ მობრძანდეთ 2011 წლის 21 ოქტომბრის 18 საათამდე შემსყიდველ ორგანიზაციაში (მის. ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა №106), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

პატივისცემით,

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ საბიაშვილი

GEORGIA. BOLNISI MUNICIPALITY SAKREBULO

# ხელშეკრულება
# კონკურსის საშუალებით
# სახელმწიფო შესყიდვების შესახებ #226

ქ. ბოლნისი 20 ოქტომბერი 2011წელი

ერთის მხრივ ბოლნისის მუნიციპალიტეტი (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის ნოდარ საბიაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს "ბაუტეხი" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ზერაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და მიმწოდებლის საკონკურსო წინადადების საფუძველზე, კონკურსის (კონკურსი #158) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულისა და მე-2 სართულზე არსებული დარბაზის ინტერიერის საპროექტო მომსახურების (დიზაინის) შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 19000 (ცხრამეტიათასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

5.1.შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - ნიკოლოზ გობეჯიშვილი - ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

5.2 მომსახურება ჩაითვლება განხორციელებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მიმწოდებელი მომსახურების გაწევას დაიწყებს 2011 წლის 21 ოქტომბრიდან და დაასრულებს 2011 წლის 14 ნოემბრის ჩათვლით (25 კალენდარული დღე).

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

შემსყიდველი მიმწოდებელი

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-5 მუხლში.

ბ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ტექნიკურ დავალებაში დადგენილი პრინციპების დაცვით.

გ) იმ შემთხვევაში, თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი;

## 7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

8.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

## 9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

### 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10,1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

### 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11,1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

### 12. რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ბოლნისის მუნიციპალიტეტი

მის: ქ. ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის 106

ს/კ 225393963

სს „ლიბერთი ბანკი“-ს ბოლნისის ფილიალი

ბ/კ LBRTGE22

ა/ა GE65LB0120184309307000

საკრებულოს თავმჯდომარე:

ნოდარ საბაშვილი

„მიმწოდებელი“

ი/მ "ბაუტეხი"

ქ. თბილისი, ბახტრიონის 16

ს/კ 400864900

სს „თიბისი ბანკი" სათაო ოფისი

ბ/კ TBCBGE22

ა/ა GE24TB7556536050100001

დირექტორი

გიორგი ბერაძე